

G0117-კოდაპორტი

ვერსია 1

შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

გვერდი 1 (12)

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/ 2023

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია.

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი.

სავაჭრო დასახელება: კოდაპორტი
პროდუქტის კოდი: G0117
UFI: SFU0-S0V6-700M-J442

1.2 ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული დანიშნულება და რეკომენდებული შეზღუდვები.
SU1. სასოფლო სამეურნეო (სასუქი). მხოლოდ პროფესიული გამოყენებისათვის.

რეკომენდებული შეზღუდვები:
რეკომენდებულის გარდა სხვა გამოყენება.

1.3 უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები.

კომპანია: სასთეინებლ აგრო სოლუშენს, ს.ა.უ.
მისამართი: Ctra. N-240, Km. 110
ქალაქი: ალმასელიასი
პროვინცია: ლეიდა
ტელეფონი: 973 74 04 00
ფაქსი: 973 74 014 89
ელ-ფოსტა: info@sas-agri.com
ვებ-გვერდი: www.sas-agri.com

1.4 გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი: 973 74 04 00 (ხელმისაწვდომია მხოლოდ სამუშაო საათებში;
ორშაბათი-პარასკევი; 08:00-18:00) ტოქსიკოლოგიის ეროვნული საინფორმაციო ცენტრი

პარაგრაფი 2: საფრთხეების იდენტიფიკაცია.

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:
წყლის ქრონიკული ტოქსიკურობა 2: ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტით
თვალის დაზ. 1: იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
რეპრ. 1B: შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ნაყოფიერებას ან მუცლად მყოფ ბავშვს.

2.2 ეტიკეტის ელემენტები.

ეტიკეტირება (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:

პიქტოგრამები:



სასიგნალო სიტყვა:

საფრთხე

საშიშროების შესახებ განცხადებები:

H318 იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H360FD შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ნაყოფიერებას. შესაძლებელია ზიანი მიაყენოს მუცლად მყოფ ბავშვს.
H411 ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტით.

გამაფრთხილებელი განცხადებები:

P201 გამოყენებამდე გაიარეთ შესაბამისი მომზადება.
P273 თავიდან აიცილეთ გარემოში გაბნევა.
P280 ატარეთ დამცავი ხელთათმანები/დამცავი ტანსაცმელი/დამცავი სათვალე/სახის/სმენის დამცავი საშუალებები/...

P305+P351+P338: თვალში მოხვედრისას: ფრთხილად გამოირეცხეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში.
მოიხსენით კონტაქტური ლინზები (თუ სარგებლობთ და მოხსნა ადვილია) განაგრძეთ გამორეცხვა.

-გაგრძელება შემდეგ გვერდზე-



G0117-კოდაპორტი

ვერსია 1

შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

გვერდი 2 (12)

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/2023

P308+P313 ზემოქმედების ან შეშფოთების შემთხვევაში: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება.
P310 დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ტოქსიკოლოგიის ცენტრს / ექიმს/....

EUH განცხადებები:

მხოლოდ პროფესიული მომხმარებლებისათვის.

შეიცავს:

ბორის მჟავას

თუთიის სულფატს (წყლიანი) (მონო-, ჰექსა- და ჰექტაჰიდრატი)

2.3 სხვა საფრთხეები.

ეს ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT).

ეს ნარევი არ შეიცავს ნივთიერებებს რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

ეს ნარევი არ შეიცავს ენდოკრინული დარღვევის გამომწვევ ნივთიერებებს.

ნორმალური გამოყენების პირობებში და ქარხნული ფორმით, პროდუქტი არ შეიცავს ჯანმრთელობისა და გარემოსათვის დამატებით რისკებს.

პარაგრაფი 3: შემადგენლობა / ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ.

3.1 ნივთიერებები.

არ ექვემდებარება შევსებას.

3.2 ნარევი.

ნივთიერებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას ან გარემოს (EC) No. 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად, დადგენილი აქვს სამუშაო ადგილზე დასაშვები ექსპოზიციის ზღვარი და კლასიფიცირებულია როგორც PBT/vPvB ან შედის კანდიდატთა სიაში:

იდენტიფიკატორები	სახელწოდება	კონცენტრაცია	(*) კლასიფიკაცია - რეგულაცია (EC) No 1272/2008	
			კლასიფიკაცია	სპეციფიკური კონცენტრაციის ზღვრებისა და მწვავე ტოქსიკურობის შეფასება
ინდექსის No: 026-003-01-4 CAS No: 7782-63-0 EC No: 231-753-5	რკინის (II) სულფატი (1:1) ჰექტაჰიდრატი, გოგირდის მჟავა, რკინის (II) მარილი (1:1), ჰექტაჰიდრატი, რკინის სულფატის ჰექტაჰიდრატი	10 - 25 %	მწვავე ტოქს. 4 *, H302 - თვალის გაღიზიანება, H319 - კანის გაღიზიანება, H315	კანის გაღიზიანება, H315: C ≥ 25 %
CAS No: 10034-96-5 სარეგისტრაციო No: 01-2119456624-35-XXXX	[1] მანგანუმის (2+) სულფატის ჰიდრატი	2.5 - 10 %	წყლის ქრონიკული 2, H411 - STOT RE 2, H373	-
ინდექსის No: 030-006-00-9 CAS No: 7446-19-7 EC No: 231-793-3	თუთიის სულფატი (წყლიანი) (მონო-, ჰექსა- და ჰექტაჰიდრატი)	3 - 25 %	მწვავე ტოქს. 4 *, H302 - წყლის მწვავე 1, H400 - წყლის ქრონიკული 1, H410 - თვალის დაზიანება, H318	-
ინდექსის No: 005-007-00-2 CAS No: 10043-35-3 EC No: 233-139-2 სარეგისტრაციო No: 01-2119486683-25-XXXX	[5] ბორის მჟავა	0.3 - 2.5 %	რეპრ. 1B, H360FD	-



G0117-კოდაჰორტი

ვერსია 1
ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

გვერდი 3 (12)

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/2023

ინდექსის No: 029-023-00-4 CAS No: 7758-99-8 EC No: 231-847-6	სპილენძის სულფატის პენტაჰიდრატი	0.25 - 1 %	მწვავე ტოქს. 4, H302- წყლის მწვავე 1, H400 - წყლის ქრონიკული 1, H410 (M=1) - თვალის დაზ. 1, H318	ორალური: ETA = 481 მგ/კგ pc (ATP 17)%
--------------------------------------------------------------------	---------------------------------	------------	--------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------

(*) H ფრაზების სრული ტექსტი მოცემულია ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მე-16 პარაგრაფში.

* იხილეთ (EC) No. 1272/2008 რეგულაციის, დანართი VI, ნაწილი 1.2.

[1] ნივთიერება რომელსაც აქვს ევროკავშირის მიერ დადგენილი საბუნებრივად ადგილზე ექსპოზიციის ზღვარი (იხ. პარაგრაფი 8.1).

[2] ნივთიერება რომელსაც აქვს ეროვნული საბუნებრივად ადგილზე ექსპოზიციის ზღვარი (იხ. სექცია 8.1).

[5] ნივთიერება, რომელიც შეტანილია 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ სიაში, REACH (კანდიდატი ნივთიერება).

პარაგრაფი 4: პირველადი დახმარების ზომები.

4.1 პირველადი დახმარების ზომების აღწერა

პროდუქტის ზემოქმედების შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს შეყოვნებული ეფექტები.

ჩასუნთქვისას

გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე; ამოიღეთ სიტბოსა და სიმშვიდეში. თუ სუნთქვა არარეგულარულია ან შეწყდა, ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა.

თვალში მოხვედრისას.

გამორეცხეთ თვალები დიდი რაოდენობის სუფთა და გრილი წყლით მინიმუმ 10 წუთის განმავლობაში და მიმართეთ ექიმს. არ მისცეთ ადამიანს დაზიანებული თვალის მოსრესვის უფლება.

კანზე მოხვედრისას.

გაიხადეთ დაზიანებული ტანსაცმელი. გულდასმით ჩამოიბანეთ კანი წყლითა და საპნით ან შესაბამისი კანის გამწმენდი საშუალებით. არასდროს გამოიყენოთ გამხსნელები ან განმაზავებელი საშუალებები.

გადაყლაპვისას.

შემთხვევით გადაყლაპვისას, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. შეინარჩუნეთ სიმშვიდე. ნუ გამოიწვევთ პირღებინებას.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და ეფექტები.

კოროზიული პროდუქტის, თვალებთან ან კანთან შეხებამ შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა; გადაყლაპვამ ან ჩასუნთქვამ შეიძლება გამოიწვიოს შინაგანი დაზიანება, თუ ეს მოხდება, საჭიროა სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

ხანგრძლივმა ქრონიკულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ორგანოების ან ქსოვილების დაზიანება. თვალებში მოხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი დაზიანება.

4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება.

დაეჭვების შემთხვევაში ან როდესაც შეუძლოდ ყოფნის სიმპტომები გრძელდება, მიმართეთ ექიმს. არაფერი გადაყლაპოთ უგონო მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს. შეუქმენით დაზარალებულს კომფორტი. გადააბრუნეთ იგი მარცხენა გვერდზე და დარჩით იქ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე.

პარაგრაფი 5: ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

პროდუქტი არ კლასიფიცირდება, როგორც აალებადი, ხანძრის შემთხვევაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი ზომები:

5.1 ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები.

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები:

ცეცხლსაქრობი ფხვნილი ან CO₂. უფრო სერიოზული ხანძრის შემთხვევაში, ასევე ალკოჰოლმდეგი ქაფი და წყლის შესხურება.

ხანძარსაწინააღმდეგო შეუსაბამო საშუალებები:

ხანძრის ჩასაქრობად არ გამოიყენოთ წყლის პირდაპირი ნაკადი. ელექტრომაბვის არსებობის შემთხვევაში, არ გამოიყენოთ წყალი ან ქაფი ცეცხლის ჩასაქრობად.

5.2 ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი სპეციფიკური საფრთხეები.

სპეციფიკური რისკები.

G0117-კოდაჰორტი

ვერსია 1

შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

გვერდი 4 (12)

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/2023

წვის ან დაშლის პროდუქტების ზემოქმედება შეიძლება საზიანო იყოს თქვენი ჯანმრთელობისათვის.

5.3 რეკომენდაციები მებანძრეებისათვის.

გამოიყენეთ წყალი სითბოს წყაროსთან ან ცეცხლთან ახლოს მყოფი ავზების, ცისტერნების ან კონტეინერების გასაგრილებლად. გაითვალისწინეთ ქარის მიმართულება. თავიდან აიცილეთ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული საშუალებების სადრენაჟე არხებში, კანალიზაციაში ან წყალსადენებში ჩაღვრა. პროდუქტის ნარჩენებმა და ხანძრის ჩაქრობის საშუალებებმა შეიძლება გამოიწვიოს წყლის გარემოს დაზიანება.

ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა.

ხანძრის სიმძლავრის მიხედვით, შეიძლება საჭირო გახდეს მაღალი ტემპერატურისაგან დამცავი სპეცტანსაცმლის, რესპირატორის, ხელთათმანების, დამცავი სათვალეების ან სახის ნიღბების, და ჩექმების გამოყენება.

პარაგრაფი 6: ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს.

6.1 პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები.

ექსპოზიციის კონტროლისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ იხილეთ პარაგრაფი 8.

6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები.

პროდუქტი საშიშაა გარემოსათვის. დიდი რაოდენობის დაღვრის შემთხვევაში ან თუ პროდუქტი აბინძურებს ტბებს, მდინარეებს ან საკანალიზაციო სისტემებს, აცნობეთ პასუხისმგებელ ორგანოებს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. თავიდან აიცილეთ სადრენაჟე სისტემების, ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების და ნიადაგის დაზიანება.

6.3 ვაგრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები.

დაღვრილი პრეპარატი შეაკავეთ და შეგროვეთ ინერტული შთანთქმელები მასალით (მიწა, ქვიშა, ვერმიკულიტი, დიატომიტი...) და დაუყოვნებლივ გაასუფთავეთ დაღვრის ადგილი შესაბამისი სადრენაჟე საშუალებებით. ნარჩენები შეინახეთ შესაფერის დახურულ კონტეინერებში, ადგილობრივი და ეროვნული რეგულაციების დაცვით (იხ. პარაგრაფი 13).

6.4 მითითება სხვა პარაგრაფებზე.

ექსპოზიციის კონტროლისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ, იხილეთ პარაგრაფი 8. ნარჩენების შემდგომი უტილიზაციისათვის, იხილმდვანელთ მე-13 პარაგრაფში მითითებული რეკომენდაციებით.

პარაგრაფი 7: გამოყენება და შენახვა.

7.1 უსაფრთხოების ზომები გამოყენების დროს.

პირადი უსაფრთხოების შესახებ იხილეთ პარაგრაფი 8. აგროქიმიკატის გამოყენების ზონაში უნდა აიკრძალოს მოწვევა, ჭამა და დაღვრა. დაიცავით სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობა. არასდროს გამოიყენოთ წნევა კონტეინერების დასაცვლელად, ვინაიდან ისინი არ არის წნევის მიმართ მედეგი. შეინახეთ პრეპარატი ქარხნის იდენტური მასალისაგან დამზადებულ ტარაში.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით.

შეინახეთ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. დაიცავით ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციები. შეინახეთ კონტეინერები 5-დან 25°C-მდე ტემპერატურის პირობებში, მშრალ და კარგად განიავებულ ადგილზე, სითბოს წყაროებისაგან და მზის პირდაპირი სხივებისაგან შორს. შეინახეთ აალების წყაროებისაგან შორს. მოარიდეთ დამყანგავ აგენტებს და ძლიერი მჟავა ან ტუტე ბუნების მასალებს. მოწვევა აკრძალულია. არ შეუშვან გარეშე პირები. კონტეინერების გახსნის შემდეგ, საგულდაგულოდ დახურეთ ისინი და მოათავსეთ ვერტიკალურად, პრეპარატის დაღვრის თავიდან ასაცილებლად.

კლასიფიკაცია და შენახვის ზღვრულ ოდენობა 2012/18/EU დირექტივის I დანართის შესაბამისად (SEVESO III):

		გამოყენების შესაბამისი რაოდენობა (ტონა)	
კოდი	აღწერა	მოთხოვნების კვედა დონე	მოთხოვნების ზედა დონე
E2	გარემოსდაცვითი საფრთხეები - საზიანოა წყლის გარემოსათვის – ქრონიკული კატეგორია 2	200	500

7.3 სპეციფიკური საბოლოო გამოყენება.

სოფლის მეურნეობა

G0117-კოდაჰორტი

ვერსია 1

შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

გვერდი 5 (12)

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/2023

პარაგრაფი 8: ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება.

8.1 კონტროლის პარამეტრები.

სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვარი:

სახელწოდება	CAS No.	ქვეყანა	ზღვრული მნიშვნელობები	ppm	მგ/მ ³
მანგანუმის (2+) სულფატის ჰიდრატი	10034-96-5	ევროკავშირი [1]	რვა საათი		0,2 (მანგანუმი როგორც ინჰალაციური ფრაქცია) 0,05 (მანგანუმი როგორც შესასუნთვადი ფრაქცია)
			ხანმოკლე		

[1] ქიმიური ნივთიერების პროფესიული ექსპოზიციის ზღვრების სამეცნიერო კომიტეტის მიერ (SCOEL) მიღებული როგორც სავალდებულო პროფესიული (სამუშაო ადგილზე) ექსპოზიციის ზღვრებისა (BOELVs) და საორიენტაციო პროფესიული [2] ექსპოზიციის ზღვრების (IOELVs) შესაბამისად.

პროდუქტი არ შეიცავს ნივთიერებებს ბიოლოგიური ზღვრული მნიშვნელობებით.

კონცენტრაციის დონეები DNEL/DMEL:

სახელწოდება	DNEL/DMEL	ტიპი	მნიშვნელობა
ზორის მჟავა CAS No: 10043-35-3 EC No: 233-139-2	DNEL (მუშები)	ინჰალაცია, ქრონიკული, სისტემური ეფექტები	8.3 (მგ/მ ³)

DNEL: ნივთიერებისგან წარმოქმნილი ზემოქმედების უსაფრთხო დონე, ნივთიერების ექსპოზიციის დონე, რომლის ქვემოთ გვერდითი ეფექტები არ არის მოსალოდნელი.

DMEL: ნივთიერებისგან წარმოქმნილი ზემოქმედების მინიმალური ეფექტის დონე, ექსპოზიციის დონე, რომელიც შესაბამისაა დაბალ რისკს, ეს რისკი უნდა ჩაითვალოს დასაშვებ მინიმუმად.

8.2 ექსპოზიციის (ზემოქმედების) კონტროლი.

საინჟინრო ღონისძიებები:

უზრუნველყავით სათანადო განიავება, რაც კარგი ადგილობრივი გამწოვი-ვენტილაციისა და კარგი საერთო გამწოვი სისტემის გამოყენებით არის შესაძლებელი.

კონცენტრაცია	100 %
გამოყენება:	SU1. სასოფლო სამეურნეო (სასუქი). მხოლოდ პროფესიული გამოყენებისათვის.
სუნთქვის ორგანოების დაცვა:	
PPE: მახასიათებლები:	აირებისა და ნაწილაკებისაგან დამცავი ფილტრიანი ნიღაბი. «CE» მარკირება, კატეგორია III. ნიღაბს უნდა ჰქონდეს ფართო ხედვის არე და ანატომიურად მორგებული ფორმა, რომ იყოს ჰერმეტიკული და წყალგაუმტარი.
CEN სტანდარტები:	EN 136, EN 140, EN 405
მოვლა/ექსპლუატაცია:	გამოყენებამდე არ უნდა ინახებოდეს მაღალ ტემპერატურაზე და ნესტიან გარემოში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესასუნთქი და ამოსასუნთქი სარკველების მდგომარეობას სახის ადაპტორში.
დაკვირვების მონაცემები:	ყურადღებით წაიკითხეთ მწარმოებლის ინსტრუქციები მოწყობილობის გამოყენებისა და მოვლის შესახებ. გაუკეთეთ მოწყობილობას რისკის სპეციფიკის მიხედვით საჭირო ფილტრები (ნაწილაკები და აეროზოლები: P1-P2-P3, აირები და ორთქლები: A-B-E-K-AX), შეცვალეთ ისინი მწარმოებლის რეკომენდაციის შესაბამისად.
აუცილებელი ფილტრების ტიპი	A2
ხელის დაცვა:	
PPE: მახასიათებლები:	ქიმიური ნივთიერებისაგან დამცავი არაერთჯერადი ხელთათმანები. «CE» მარკირება, კატეგორია III. შეამოწმეთ იმ ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც მედეგია ხელთათმანი.
CEN სტანდარტები:	EN 374-1, En 374-2, EN 374-3, EN 420
მოვლა/ექსპლუატაცია:	უნდა დადგინდეს ხელთათმანების პერიოდული შეცვლის გრაფიკი, რათა დამაზიანებულების შედეგად გარანტირებული იყოს მათი დროული ჩანაცვლება. დაზიანებული ხელთათმანების გამოყენება შეიძლება უფრო საშიში იყოს, ვიდრე მათი გამოყენებლობა,

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

(შედგენილია (EU) 2020/878 რეგულაციის შესაბამისად)



G0117-კოდაჰორტი

ვერსია 1




შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

გვერდი 6 (12)

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/2023

დაკვირვების მონაცემები:	ვინაიდან დამამბინებელი ნივთიერებები შეიძლება თანდათანობით დაგროვდეს ხელთათმნის მასალაში.	
მასალა: PVC (პოლივინილ ქლორიდი)	გაცვეთის დრო (წთ.): > 480	მასალის სისქე (მმ): 0,35
თვალის დაცვა:		
PPE: მახასიათებლები:	დამცავი სათვალე ჩაშენებული ჩარჩოთი «CE» მარკირება, კატეგორია II. თვალის დამცავი ჩაშენებული ჩარჩოთი მტერის, კვამლის, ნისლისა და ორთქლისგან დასაცავად.	
CEN სტანდარტები:	EN 165, EN 166, EN 167, EN 168	
მოვლა/ექსპლუატაცია:	ლინზეში ხილვადობა უნდა იყოს იდეალური. შესაბამისად ეს ნაწილები ყოველდღიურად უნდა გაიწმინდოს. პერიოდულად უნდა მოხდეს დამცავი საშუალებების დეზინფექცია მწარმოებლის მითითებების შესაბამისად.	
დაკვირვების მონაცემები:	ცვეთისა და დაზიანების ზოგიერთი ნიშანია: ლინზეების ყვითელი შეფერილობა, ლინზეების ზედაპირული დაკაწვრა, გადახეხვა და ა.შ.	
კანის დაცვა:		
PPE: მახასიათებლები:	დამცავი ტანსაცმელი «CE» მარკირება, კატეგორია III . ტანსაცმელი უნდა იყოს სათანადო ზომის. დაცვის დონეს რომელიც უნდა დადგინდეს ოქნას ტესტის პარამეტრის მიხედვით, ეწოდება BT (შეღწევის დრო), რომელიც მიუთითებს თუ რა დრო სჭირდება ქიმიური ნივთიერების მასალაში გავლას.	
CEN სტანდარტები:	EN 464, EN 340, EN 943-1, EN 943-2, EN ISO 6529, EN ISO 6530, EN 13034	
მოვლა/ექსპლუატაცია:	სპეცტანსაცმლის დამცავი თვისებების შესანარჩუნებლად, იხელმძღვანელოთ მწარმოებლის მიერ მითითებული გარეცხვისა და მოვლის რეკომენდაციებით.	
დაკვირვების მონაცემები:	დამცავი ტანსაცმლის დიზაინი უნდა უზრუნველყოფდეს შესატყვის პოზიციონირებას, არ უნდა უქმნიდეს დაბრკოლებას მოხმარებელს საქმიანობის მთელ პერიოდში, უნდა ითვალისწინებდეს გარემო ფაქტორებს, ასევე აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო მოძრაობას და პოზიციის ცვლილებას.	
PPE: მახასიათებლები:	ქიმიური ნივთიერებებისაგან დამცავი ანტისტატიკური ფეხსაცმელი. «CE» მარკირება, კატეგორია III. შეამოწმეთ იმ ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც მედეგია ფეხსაცმელი.	
CEN სტანდარტები:	EN ISO 13287, EN 13832-1, EN 13832-2, EN 13832-3, EN ISO 20344, EN ISO 20345	
მოვლა/ექსპლუატაცია:	ამ ტიპის დამცავი ფეხსაცმლის სწორად მოვლისათვის აუცილებელია მწარმოებლის მიერ მითითებული ინსტრუქციების დაცვა. ფეხსაცმელი უნდა შეიცვალოს დაზიანების ნიშნების გამოვლენისთანავე.	
დაკვირვების მონაცემები:	ფეხსაცმელი რეგულარულად უნდა გაიწმინდოს და გაშრეს, როდესაც წესტიანია, თუმცა არ უნდა მოთავსდეს გამათბობლებთან ძალიან ახლოს, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების თავიდან ასაცილებლად.	

პარაგრაფი 9: ფიზიკური და ქიმიური თვისებები.

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე.

ფიზიკური მდგომარეობა: სითხე

ფერი: მუქი ყავისფერი

სუნი: დამახასიათებელი

სუნის შეგრძნების ზღვარი: არ არის ხელმისაწვდომი

ლობის ტემპერატურა: არ გამოიყენება

გაყინვის ტემპერატურა: < 0°C

დუღილის ტემპერატურა ან დუღილის საწყისი წერტილი და დუღილის დიაპაზონი: არ არის ხელმისაწვდომი

აალებადობა: არ გამოიყენება

აფეთქების ქვედა ზღვარი: არ გამოიყენება

აფეთქების ზედა ზღვარი: არ გამოიყენება

აალების წერტილი: არ გამოიყენება

თვითაალების ტემპერატურა: არ გამოიყენება

დაშლის ტემპერატურა: არ არის ხელმისაწვდომი

pH: 4,2 (100%)

კინემატიკური სიბლანტე: არ არის ხელმისაწვდომი

ხსნადობა: წყალში ხსნადი



G0117-კოდაჰორტი

ვერსია 1

შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

გვერდი 7 (12)

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/ 2023

წყალში ხსნადობა: სრულად ხსნადი

ლიპოხსნადობა: უხსნადი

განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი / წყალი (log სიდიდე): არ გამოიყენება

ორთქლის წნევა: არ არის ხელმისაწვდომი

აბსოლუტური სიმკვრივე: არ არის ხელმისაწვდომი

ფარდობითი სიმკვრივე: 1,24 (ოსცილირებადი დენსიტომეტრი)

ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე: არ არის ხელმისაწვდომი

ნაწილაკების მახასიათებლები: არ გამოიყენება

9.2 დამატებითი ინფორმაცია

არ გამოიყენება / არ არის ხელმისაწვდომი პროდუქტის ბუნებიდან/თვისებებიდან გამომდინარე.

პარაგრაფი 10: სტაბილურობა და რეაქტიულობა.

10.1 რეაქტიულობა.

პროდუქტი მისი რეაქტიულობით არ წარმოქმნის საფრთხეს.

10.2 ქიმიური სტაბილურობა.

სტაბილურობა რეკომენდაციების მიხედვით გამოყენებისა და შენახვის პირობებში (იხ. პარაგრაფი 7).

10.3 სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა.

პროდუქტი არ ხასიათდება სახიფათო რეაქციების შესაძლებლობით.

10.4 ასარიდებელი გარემოებები.

მოერიდეთ არასათანადო მოპყრობას.

10.5 შეუთავსებელი მასალები.

ეგზოთერმული რეაქციების თავიდან ასაცილებლად, შეინახეთ დამყნავი აგენტებისა და ძლიერი ტუტე ან მჟავა ბუნების მასალებისაგან შორს.

10.6 საშიში დაშლის პროდუქტები.

მიზნობრივად გამოყენების დროს არ იშლება.

პარაგრაფი 11: ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია.

11.1 ინფორმაცია საშიშროების კლასების შესახებ (EC) № 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად.

თვალეში შეშუფვებამ შეიძლება გამოიწვიოს გაღიზიანება და შექცევადი დაზიანება.

ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია პრეპარატში არსებული ნივთიერებების შესახებ.

სახელწოდება	მწვავე ტოქსიკურობა			
	ტიპი	ტესტი	სახეობა	მნიშვნელობა
მანგანუმის (2+) სულფატის ჰიდრატი	ორალური	LD50	ვირთავა	2150 მგ/კგ [1]
				[1] Indian Journal of Pharmacology. Vol. 23, Pg. 153, 1991.
	დერმალური			
CAS No: 10034-96-5 EC No:	ინჰალაციური			

ა) მწვავე ტოქსიკურობა;

კლასიფიკაციისათვის სარწმუნო მონაცემები არ არის.

მწვავე ტოქსიკურობის შეფასება (ATE):

ნარეკები:

ATE (ორალური) = 3.484 მგ/კგ

ბ) კანის კოროზია/ გაღიზიანება

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

G0117-კოდაჰორტი

ვერსია 1

შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

გვერდი 8 (12)

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/2023

გ) თვალის სერიოზული დაზიანება / თვალის გაღიზიანება
პროდუქტი კლასიფიკაცია:

თვალის სერიოზული დაზიანება, კატეგორია 1: იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.

დ) სასუნთქი გზების ან კანის სენსიბილიზაცია
კლასიფიკაციისათვის სარწმუნო მონაცემები არ არის.

დ) სასუნთქი გზების ან კანის სენსიბილიზაცია
კლასიფიკაციისათვის სარწმუნო მონაცემები არ არის.

ე) სასქესო უჯრედების მუტაგენურობა;
კლასიფიკაციისათვის სარწმუნო მონაცემები არ არის.

ვ) კანცეროგენული მოქმედება;
კლასიფიკაციისათვის სარწმუნო მონაცემები არ არის.

ზ) რეპროდუქციული ტოქსიკურობა;
პროდუქტის კლასიფიკაცია:
რეპროდუქციული ტოქსიკურობის გამომწვევი, კატეგორია 1B: შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ნაყოფიერებას ან მუცლად მყოფ ბავშვს.

თ) STOT-ერთჯერადი ექსპოზიცია;
კლასიფიკაციისათვის სარწმუნო მონაცემები არ არის.

ი) STOT-განმეორებითი ექსპოზიცია;
არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ აკმაყოფილებს. კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

კ) ასპირაციის საშიშროება;
კლასიფიკაციისათვის სარწმუნო მონაცემები არ არის.

11.2 ინფორმაცია სხვა საფრთხეებზე.

ენდოკრინული დამრღვევი თვისებები

ეს პროდუქტი არ შეიცავს ენდოკრინული-დამრღვევი თვისებების მქონე კომპონენტებს, რომლებიც მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

დამატებითი ინფორმაცია

ჯანმრთელობაზე სხვა მავნე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია უცნობია.

პარაგრაფი 12: ეკოლოგიური ინფორმაცია.

12.1 ტოქსიკურობა.

სახელწოდება	მწვავე ტოქსიკურობა			
	ტიპი	ტესტი	სახეობა	მნიშვნელობა
მანგანუმის (2+) სულფატის ჰიდრატი	თევზი	LD50	თევზები	130 მგ/ლ (96 სთ) [1]
	წყლის უხერხემლოები	LC50	კიბოსნაირები	17,6 მგ/ლ (48 სთ) [1]
CAS No: 10034-96-5 EC No:	წყლის მცენარეები			[1] Lewis, M. 1978. Acute Toxicity of Copper, Zinc, and Manganese in Single and Mixed Salt Solutions to Juvenile Longfin Dace, <i>Agosia chrysogaster</i> . J.Fish Biol. 13(6):695-700
				[1] Kimball, G. 1978. The Effects of Lesser Known Metals and One Organic to Fathead Minnows (<i>Pimephales promelas</i>) and <i>Daphnia magna</i> . Manuscr., Dep.of Entomol., Fish.and Wildl., Univ.of Minnesota, Minneapolis, MN :88 p.

G0117-კოდაპორტი

ვერსია 1

შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017

გვერდი 9 (12)

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

განახლების თარიღი: 20/ 10/ 2023

დაბეჭადის თარიღი: 20/ 10/2023

12.2 მდგრადობა და დეგრადაციის უნარი.

პრეპარატის შემადგენელი ნივთიერებების ბიოდეგრადაციის უნარის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.
პრეპარატის შემადგენელი ნივთიერებების დეგრადაციის უნარის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.
პროდუქტის მდგრადობისა და დეგრადაციის უნარის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი.

პრეპარატის შემადგენელი ნივთიერებების ბიოაკუმულაციის პოტენციალის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.4 მიგრაცია / მობილურობა ნიადაგში.

ნიადაგში მობილურობის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.
დაუშვებელია პროდუქტის კანალიზაციაში ან წყალსადინარებში ჩაღვრა.
თავიდან აიცილეთ ნიადაგში შეღწევა.

12.5 PBT და vPvB შეფასების შედეგები.

პროდუქტის PBT და vPvB შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.6 ენდოკრინული დარღვევის თვისებები.

ეს პროდუქტი არ შეიცავს ენდოკრინული-დამრღვევი თვისებების მქონე კომპონენტებს.

12.7 სხვა მავნე ეფექტები.

პროდუქტზე არ ვრცელდება ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის (EC) No1005/2009 რეგულაცია.
გარემოზე სხვა მავნე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

პარაგრაფი 13: ნარჩენების მართვა

13.1 ნარჩენების მართვის მეთოდები.

არ ჩაუშვით კანალიზაციაში ან წყალსადინარებში. ნარჩენებისა და ცარიელი ტარის გატანა და დამუშავება უნდა განხორციელდეს მოქმედი, ადგილობრივი/ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.
დაიცავით ნარჩენების მართვის შესახებ ევროკავშირის ჩარჩო დირექტივის 2008/98/EC შესაბამისი დებულებები.

პარაგრაფი 14: ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია.

ტრანსპორტირება საავტომობილო ტრანსპორტისათვის ADR წესების შესაბამისად, რკინიგზისათვის RID წესებით, შიდა სანაოსნო გზებისათვის ADN წესებით, საზღვაო ტრანსპორტისათვის IMDG და საჰაერო ტრანსპორტისთვის ICAO/IATA წესებით.

ხმელეთი: სახმელეთო ტრანსპორტირება: ADR, სარკინიგზო ტრანსპორტირება: RID.

სატრანსპორტო დოკუმენტაცია: ზედნადები და წერილობითი ინსტრუქციები

ზღვა: გემით ტრანსპორტირება: IMDG.

სატრანსპორტო დოკუმენტაცია: კონოსამენტი

საჰაერო: თვითმფრინავით ტრანსპორტირება: ICAO/IATA.

სატრანსპორტო დოკუმენტი: ავიაზედნადები.

14.1 UN ნომერი ან ID ნომერი.

UN No: UN3082

14.2 UN გადაზიდვის სახელი.

აღწერა:

ADR/RID: UN 3082, ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, N.O.S. (შეიცავს მანგანუმის (2+) სულფატის ჰიდრატს / თუთიის სულფატს (წყლიანი) (მონო-, ჰექსა- და ჰექტა ჰიდრატს)), 9, PG III, (-)

IMDG: UN 3082, ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, N.O.S. (შეიცავს მანგანუმის (2+) სულფატის ჰიდრატს / თუთიის სულფატს (წყლიანი) (მონო-, ჰექსა- და ჰექტა ჰიდრატს)), 9, PG III, ზღვის დამაბინძურებელი

ICAO/IATA: UN 3082, ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე, N.O.S. (შეიცავს მანგანუმის (2+) სულფატის ჰიდრატს / თუთიის სულფატს (წყლიანი) (მონო-, ჰექსა- და ჰექტა ჰიდრატს)), 9, PG III

G0117-კოდაპორტი

ვერსია 1 შედგენის თარიღი: 31/07/2017
ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

შეცვლის თარიღი: 20/10/2023

გვერდი 10 (12)
დაბეჭადის თარიღი : 20/10/2023

14.3 საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისა.
კლას(ებ)ი: 9

14.4 შეფუთვის ჯგუფი.
შეფუთვის ჯგუფი: III

14.5 ეკოლოგიური საფრთხეები.

ზღვის დამაბინძურებელი: კი

ტრანსპორტირება გემით, FEm –საგანგებო საინფორმაციო ფურცლები (F – ხანძარი, S – დაღვრა): არ გამოიყენება


14.6 უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის.

ტრანსპორტირება არ არის სახიფათო.

ADR LQ: 5 ლ

IMDG LQ: 5 ლ

ICAO LQ: 30 კგ B



14.7 დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების საზღვაო გადაზიდვა IMO დოკუმენტების შესაბამისად .
ტრანსპორტირება არ არის სახიფათო.

პარაგრაფი 15: მარეგულირებელი ინფორმაცია.

15.1 ნივთიერებისა და ნარევისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/კანონმდებლობა.

პროდუქტზე არ ვრცელდება ბიოციდური პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ ევროპარლამენტის და საბჭოს No 528/2012 რეგულაცია.

პროდუქტზე არ ვრცელდება საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ ევროპარლამენტის და საბჭოს No 649/2012 რეგულაციით დადგენილი პროცედურა.

ცალკეული საშიში ნივთიერებების, ნარევისა და პროდუქტების წარმოების, ბაზარზე განთავსებისა და გამოყენების შესახებ შეზღუდვები:

ნივთიერების, ნივთიერებათა ჯგუფის ან ნარევის დასახელება	შეზღუდვის პირობები
<p>30. ნივთიერებები, რომლებიც ევროკავშირის (EC) No1272/2008 რეგულაციის VI დანართის მე-3 ნაწილში კლასიფიცირებულია, როგორც რეპროდუქციული ტოქსიკურობის გამომწვევი კატეგორია 1A ან 1B და მითითებულია შესაბამისად დანართ 1-ის ან დანართ 2-ის სიაში.</p>	<p>ამ დანართის სხვა ნაწილების შეზღუდვის გარეშე, 28-დან 30-მდე ჩანაწერებზე ვრცელდება შემდეგი:</p> <p>1. არ უნდა განთავსდეს ბაზარზე ან გამოყენებულ იქნას, როგორც ნივთიერებები,</p> <p>როგორც სხვა ნივთიერებების შემადგენელი, ან ნარევაში,</p> <p>მომხმარებლისთვის მიწოდების ჩათვლით, როდესაც ნივთიერებაში ან ნარევაში ინდივიდუალური კონცენტრაცია უდრის ან აღემატება:</p> <p>ან, (EC) No1272/2008 რეგულაციის VI დანართის მე-3 ნაწილში მითითებულ კონკრეტული სპეციფიკური კონცენტრაციის ზღვარს, ან,</p> <p>1999/45/EC დირექტივაში მითითებულ შესაბამის კონცენტრაციას, როდესაც (EC) No1272/2008 რეგულაციის VI დანართის მე-3 ნაწილში არ არის დადგენილი კონკრეტული კონცენტრაციის ზღვარი.</p> <p>ნივთიერებებისა და ნარევის კლასიფიკაციასთან, შეფუთვისა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ გაერთიანებულ დებულებათა</p>



G0117-კოდაჰორტი

ვერსია 1 შედგენის თარიღი: 31/ 07/ 2017
ვერსია 8 (ველის ვერსიას 7)

შეცვლის თარიღი: 20/ 10/ 2023

გვერდი 11 (12)
დაბეჭდვის თარიღი : 20/ 10/ 2023

	<p>შეზღუდვის გარეშე შესრულებისთვის, მომწოდებლებმა ბაზარზე განთავსებამდე უნდა უზრუნველყოს, რომ ასეთი ნივთიერებებისა და ნარევების ტარაზე იყოს მკაფიო, იოლად გარჩევადი და ჩამოურევადი შემდეგი სახის მარკირება:</p> <p>„მხოლოდ პროფესიული გამოყენებისათვის“</p> <p>2. ნაწილობრივი გაუქმების გზით, 1-ლი პუნქტი არ ვრცელდება: (ა) 2001/82/EC დირექტივითა და 2001/83/EC დირექტივით განსაზღვრულ მედიკამენტებზე ან ვეტერინარული პროდუქტებზე; (ბ) 76/768/EEC დირექტივით განსაზღვრულ კოსმეტიკურ პროდუქტებზე; (გ) შემდეგ საწვავზე და ნავთობპროდუქტებზე: - ძრავას საწვავი, რომელზედაც ვრცელდება 98/70/EC დირექტივით - მინერალური ზეთის პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია მოძრავი ან სტაციონარულ წვის დანადგარებში საწვავად გამოსაყენებლად, - დახურულ სისტემებში გასაყიდი საწვავი (მაგ. თხევადი აირის ბალონები); (დ) 1999/45/EC დირექტივით გათვალისწინებულ სამხატვრო საღებავებზე; (ე) მე-11 დანართის, 1 სვეტში ჩამოთვლილ ნივთიერებებზე, რომელიც განკუთვნილია მე-11 დანართის, მე-2 სვეტში ჩამოთვლილი მოხმარებისათვის ან გამოყენებისათვის. თუ მე-11 დანართის მე-2 სვეტში მითითებულია თარიღი, მაშინ ნაწილობრივი გაუქმება ძალაში აღნიშნულ თარიღამდე.</p>
--	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება.

მომწოდებლის მიერ ამ ნივთიერების/ნარევისათვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ ჩატარებულა.

პარაგრაფი 16: დამატებითი ინფორმაცია.

მე-3 პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი:

- H302 მავნეა გადაყლაპვისას.
- H315 იწვევს კანის გაღიზიანებას.
- H318 იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
- H319 იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.
- H360FD შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ნაყოფიერებას. შესაძლებელია ზიანი მიაყენოს მცულად მყოფ ბავშვს.
- H373 შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ზემოქმედებით.
- H400 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის.
- H410 ძალიან ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტით.
- H411 ტოქსიკურია წყლის ბინადართათვის ხანგრძლივი ეფექტით.

კლასიფიკაციის კოდები:

- მწვავე ტოქს. 4 : მწვავე ტოქსიკურობა (ორალური), კატეგორია 4
- წყლის მწვავე 1 : წყლის გარემოსათვის მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 1
- წყლის ქრონიკული 1 : ქრონიკული ეფექტი წყლის გარემოზე, კატეგორია 1
- წყლის ქრონიკული 3 : ქრონიკული ეფექტი წყლის გარემოზე, კატეგორია 3
- თვალის დაზ. 1 : თვალის სერიოზული დაზიანება, კატეგორია 1
- მუტაგ. 2 : მუტაგენური მოქმედების, კატეგორია 2
- რეპრ. 1B : რეპროდუქციული ტოქსიკურობის გამოწვევი, კატეგორია 1B
- კანის გაღიზ. 2 : კანის გამაღიზიანებელი, კატეგორია 2
- STOT RE 2 : სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა განმეორებითი ექსპოზიციის შემდეგ, კატეგორია 2

კლასიფიკაცია და პროცედურა, რომელიც გამოიყენება ნარევების კლასიფიკაციის დასადგენად ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის No 1272/2008 [CLP] შესაბამისად.

ფიზიკური საფრთხეები კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით
ჯანმრთელობის საფრთხეები განგარიშების მეთოდით

G0117-კოდაჰორტი

ვერსია 1 შედგენის თარიღი: 31/07/2017

ვერსია 8 (ცვლის ვერსიას 7)

შეცვლის თარიღი: 20/10/2023

გვერდი 12 (12)

დაბეჭადის თარიღი : 20/10/2023

ეკოლოგიური საფრთხეები გაანგარიშების მეთოდი

აღნიშნული პროდუქტის სწორად გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილია სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ საბაზისო ტრენინგის ჩატარება.

გამოყენებული აბრევიატურები და აკრონიმები:

ADR/RID: ევროპული შეთანხმება საშიში ტვირთის საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვის შესახებ.

CEN: სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი.

DMEL: ნივთიერებისგან წარმოქმნილი ზემოქმედების მინიმალური ეფექტის დონე, ექსპოზიციის დონე, რომელიც შეესაბამება დაბალ რისკს, ეს რისკი უნდა ჩაითვალოს დასაშვებ მინიმუმად.

DNEL: ნივთიერებისგან წარმოქმნილი ზემოქმედების უსაფრთხო დონე, ნივთიერების ექსპოზიციის დონე, რომლის ქვემოთ გვერდითი ეფექტები არ არის მოსალოდნელი.

EC50: მაქსიმალური ეფექტური კონცენტრაციის ნახევარი.

PPE: ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

IATA: საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია.

ICAO: სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

IMDG: სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვის კოდექსი.

LC50: ლეტალური კონცენტრაცია, 50%.

LD50: ლეტალური დოზა, 50%.

RID: რკინიგზით საშიში ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ რეგულაციები.

ძირითადი ლიტერატურა და მონაცემთა წყაროები:

<http://eur-lex.europa.eu/homepage.html>

<http://echa.europa.eu/>

Regulation (EU) 2020/878.

Regulation (EC) No 1907/2006.

Regulation (EC) No 1272/2008.

ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში მოცემული ინფორმაცია მომზადებულია 2020 წლის 18 ივნისის კომისიის (EU) 2020/878 რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ცვლის რეგისტრაციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No1907/2006 რეგულაციის მე-II დანართს, ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის შესახებ (REACH).

ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში პრეპარატის შესახებ ინფორმაცია მოცემულია არსებული ცოდნისა და ევროკავშირისა და ეროვნული მოქმედი კანონების საფუძველზე, ვინაიდან მომხმარებლების სამუშაო პირობები არის ჩვენი ცოდნისა და კონტროლს მიღმა. პრეპარატი არ უნდა იქნას გამოყენებული მითითებულის გარდა სხვა მიზნებისათვის, მისი გამოყენების შესახებ წინასწარ მიღებული წერილობითი ინსტრუქციების გარეშე. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების შესასრულებლად შესაბამისი ზომების მიღება მხოლოდ მომხმარებლის პასუხისმგებლობაა. ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში მოცემული ინფორმაცია შეიცავს მხოლოდ პრეპარატის უსაფრთხო გამოყენების აღწერას და ის არ უნდა ჩაითვალოს მისი თვისებების გარანტიად.